საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

10 მაი 2024 წ.

KA000082268945724

№ **2024/1026**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ [redacted] მიმოწერის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ [redacted] საქმე, N2 პენიტენციური დაწესებულებიდან კორესპონდენციის გაგზავნის შესაძლო შეზღუდვის თაობაზე.[1] **შესწავლის შედეგად, მსჯავრდებულის მიმოწერის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტი გამოიკვეთა.**

ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას მსჯავრდებულმა [redacted] განმარტა, რომ 2023 წლის 21 აგვისტოს განცხადებები დაწერა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარისა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის სახელზე, რომლებიც იმავე დღეს გადასცა სოციალური სამსახურის წარმომადგენელს.

[redacted] გადმოცემით, განცხადებები სოციალურ მუშაკს [redacted] საკნიდან გადასცა 2023 წლის 21 აგვისტოს 14:00 საათიდან 18:00 საათამდე მონაკვეთში. ამასთან, [redacted] საკანში ხორციელდება ვიდეო მეთვალყურეობა.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა N2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების რელევანტური ჩანაწერების დაარქივება/გაცნობა მოითხოვა,[2] რაც დაკმაყოფილდა.[3]

2023 წლის 29 ნოემბერს, სახალხო დამცველის რწმუნებულმა დაათვალიერა დაარქივებული ვიდეომასალა.[4] დათვალიერების შედეგად, გამოიკვეთა, რომ:

გახდილი, აწვდის ფურცელს კარს მიღმა მყოფ პირს;

- 14:12:30 საათზე მეორე, ასევე წელს ზემოთ გახდილი პატიმარი, აწვდის ფურცელს კარს მიღმა მყოფ პირს. ფურცლების ზომა არის A-4 ფორმატის;

- დერეფანში არსებული ვიდეოკამერების გაცნობის შედეგად ვერ დგინდება [redacted] საკნის ზუსტი მდებარეობა, თუმცა სხვადასხვა საკანთან პერიოდულად ჩერდება მონაცრისფრო მაისურში ჩაცმული [redacted] (პირბადით), რომელსაც უჭირავს ფურცლები. სავარაუდოდ, არის სოციალური მუშაკი.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 6 მარტს სახალხო დამცველის რწმუნებული N2 პენიტენციური დაწესებულების კანცელარიაში გაეცნო [redacted] მიერ 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს გაგზავნილი კორესპონდენციების შესახებ ინფორმაციას/ელექტრონულ დოკუმენტაციას. **შედეგად, გაირკვა, რომ 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს მსჯავრდებულის მიერ N2 პენიტენციური დაწესებულებიდან რაიმე სახის კორესპონდენცია არ გაგზავნილა.**

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა[6] N2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და გამოითხოვა წერილობითი ინფორმაცია, [redacted] საკანში განთავსებული პატიმრების მიერ[7] 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს გაგზავნილი კორესპონდენციების თაობაზე. სამწუხაროდ, აპარატს არ მიეწოდა მითითებული ინფორმაცია, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების შესახებ მსჯავრდებულების მიერ გაცნობიერებულ თანხმობაზე უარის თქმის საფუძვლით.[8]

საგულისხმოა, რომ 2024 წლის 26 მარტს [redacted] გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია და მას იცავს სახელმწიფო.[9] ადამიანის პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა და შედგება არაერთი უფლებრივი კომპონენტისგან, მათ შორის, ჰქონდეს გარე სამყაროსთან კომუნიკაცია, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ინფორმაციის გაცვლისა და გაზიარების უფლება.[10]

გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნება, ინფორმაციის მიღება და გადაცემა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია პატიმრების რესოციალიზაციისთვის. ციხის ევროპული წესების თანახმად, პატიმრებს ნებართვა უნდა მიეცეთ, რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე დაენიშნოთ პაემნები ამ ადამიანებთან.[11] ციხის ადმინისტრაცია კი უნდა დაეხმაროს პატიმრებს გარე სამყაროსთან ადეკვატური კონტაქტის შენარჩუნებაში და უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი მხარდაჭერით.[12]

გარე სამყაროსთან კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მიმოწერაა და განსაკუთრებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ადრესატებთან საჩივრების გაგზავნა. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი შესაძლებლობა, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მიმართონ საჩივრით ან მოთხოვნით ციხის დირექტორს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს.[13] თუ მოთხოვნა ან საჩივარი უარყოფილი იქნა, პატიმარს უნდა განემარტოს მიზეზები და მიეცეს შესაძლებლობა, მიმართოს საჩივრით დამოუკიდებელ ორგანოს.[14]

მითითებულ საკითხთან დაკავშირებით ანალოგიურ სტანდარტს აწესებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტიც (CPT) და აკონკრეტებს, რომ გარე სამყაროსთან კავშირის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულად განსაზღვრულ უსაფრთხოების ინტერესებს ან მატერიალური სახსრების უკმარისობას.[15]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პატიმრის გარე სამყაროსთან ურთიერთობაში ჩარევა მის პირად ცხოვრებაში ჩარევას წარმოადგენს, რომელიც კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლებაა, თუმცა იმავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების არსებობისას, შესაძლოა, მართლზომიერად ჩაითვალოს. ყოველი საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლო მსჯელობს ჩარევის მართლზომიერებაზე. ჩარევა მართლზომიერად მიიჩნევა, თუ იგი აუცილებელი და პროპორციული იყო იმგვარი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, როგორებიცაა, მაგალითად, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, არეულობის თავიდან აცილება ან დანაშაულის პრევენცია, თუმცა არაერთ საქმეში სასამართლომ არამართლზომიერი ჩარევის მაგალითებად სწორედ წერილების არგაგზავნა შეაფასა.[16]

უფრო მეტიც, ევროსასამართლოს აზრით, პატიმრების შემთხვევაში, რომლებიც სახელმწიფო ორგანოების კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარღვევების შესახებ საჩივრების წარდგენის შესაძლებლობის უზრუნველყოფა იმგვარად, რომ მათ აღნიშნულისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგების არ ეშინოდეთ.[17]

საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად, დახურულ დაწესებულებებში მყოფი პირების გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ანალოგიურ სტანდარტს ადგენს საქართველოს კანონმდებლობაც.

პატიმრობის კოდექსით (ისევე, როგორც დღეის მდგომარეობით მოქმედი პენიტენციური კოდექსით)

კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა.[18] ზოგადი წესით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია მოწმდება, რაც გულისხმობს მის ვიზუალურ დათვალიერებას შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურე უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა. აღნიშნული შეზღუდვის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს და კორესპონდენცია შესაბამის საგამოძიებო ორგანოს ეგზავნება.[19]

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა განსაზღვრავს **ადრესატებს, რომლებთან მიმოწერის შეზღუდვა ან/და შემოწმება დაუშვებელია,** კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებას ეკრძალება, შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, სამსახური, საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, ადვოკატი, პროკურორი, საბჭო.[20]

რაც შეეხება კორესპონდენციის გაგზავნის ტექნიკურ მხარეს, N2 პენიტენციური დაწესებულების დებულების მიხედვით, ბრალდებული/მსჯავრდებული გასაგზავნ კორესპონდენციას, გარდა საჩივრის ყუთით გასაგზავნისა, გადასცემს დაწესებულების სოციალურ განყოფილებას, რომელიც უზრუნველყოფს კორესპონდენციის დაწესებულების ადმინისტრაციული განყოფილებისთვის მიწოდებას. დაწესებულების ადმინისტრაციული განყოფილება უზრუნველყოფს წერილობითი ხასიათის განცხადებებისა და მოთხოვნების რეგისტრაციას და არაუგვიანეს მომდევნო დღისა უგზავნის/აცნობს შესაბამის ადრესატს.[21] პენიტენციური კოდექსის მსგავსად, აღნიშნული დებულებაც ითვალისწინებს კორესპონდენციის შემოწმებისა და, საჭიროების შემთხვევაში, შეჩერების შესაძლებლობას, თუმცა იგივე პრინციპით და შეზღუდვის იგივე წინაპირობების არსებობის დროს. ცხადია, ამ შემთხვევაშიც, კანონმდებლობა ცალსახად უთითებს, რომ კორესპონდენციის გაგზავნის შეზღუდვის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს.[22]

ამრიგად, ვინაიდან მსჯავრდებულთა მიმოწერა პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროს წარმოადგენს, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს როგორც ნეგატიური, ასევე, პოზიტიური ვალდებულება. კერძოდ, ერთი მხრივ, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს და პატივი უნდა სცეს ბრალდებულის/ მსჯავრდებულის პირად სივრცეს, მათ შორის, მიმოწერის უფლებას და არ შეზღუდოს მსჯავრდებულის მიერ კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა, თუკი არ არსებობს კანონით გათვალისწინებული გარემოებები, მეორე მხრივ, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს მსჯავრდებულის კორესპონდენციის გაგზავნა მითითებულ ადრესატთან.

წინამდებარე საქმის ანალიზი

[redacted] მიერ მოწოდებული და სახალხო დამცველის აპარატის მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციის/ვიდეომასალის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, მაღალი ალბათობით დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა 2023 წლის 21 აგვისტოს N2 პენიტენციური დაწესებულების [redacted] საკნიდან დაწესებულების ერთ-ერთ თანამშრომელს (სავარაუდოდ, სოციალურ მუშაკს) წერილი/წერილები (ღია ფორმით) გადასცა. მართალია, სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ დათვალიერებულ ვიდეომასალაში არ ჩანს კორესპონდენციის ადრესატი და ვერ იკითხება დოკუმენტის შინაარსიც, შესაბამისად, ცალსახად ვერ დგინდება, მითითებული განცხადებები კონკრეტულად რომელ უწყებაში იგზავნებოდა, თუმცა, მსჯავრდებულის მიერ მითითებულის ნაცვლად სხვა ადრესატების შემთხვევაშიც კი, თუ კორესპონდენცია რაიმე კონკრეტული მიზეზის გამო გაგზავნას არ ექვემდებარებოდა, აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული უნდა ყოფილიყო უშუალოდ მსჯავრდებული.

კორესპონდენციის არგაგზავნის ფაქტი დადასტურდა 2024 წლის 6 მარტს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ N2 პენიტენციური დაწესებულების კანცელარიაში ინფორმაციის/ელექტრონული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, როცა დადგინდა, რომ 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს მსჯავრდებულ ანრი ვადაქარიას მიერ N2 პენიტენციური დაწესებულებიდან რაიმე სახის კორესპონდენცია არ გაგზავნილა.

სახალხო დამცველის აპარატმა როგორც გასული წლების, ასევე, 2023 წლის განმავლობაშიც შეისწავლა არაერთი პატიმრის განცხადება/საჩივარი, რომელიც მიმოწერის უფლების შეზღუდვას ეხებოდა. შედეგად, პატიმართა მიმოწერის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები მიმოხილულია როგორც სახალხო დამცველის წლიურ, ისე სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშებში.[23]

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ N2 პენიტენციური დაწესებულების პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა არ შეასრულეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულება და 2023 წლის 21 აგვისტოს, არ უზრუნველყვეს მსჯავრდებულ [redacted] კორესპონდენცი(ებ)ის შესაბამისი ადრესატისთვის გაგზავნა, რაც მისი მიმოწერის უფლების დარღვევას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური სამართალწარმოება ზემოხსენებულ ფაქტზე.

ამავე საქმისწარმოების ფარგლებში, გთხოვთ, გამოიკვლიოთ ის გარემოებაც, განპირობებული იყო თუ არა [redacted] კორესპონდენცი(ებ)ის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაგზავნაზე უშუალოდ პასუხიმგებელი პირების მხრიდან დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა ხელმძღვანელი პირების მიერ შესაძლო უკანონო დავალების მიცემით.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

---

[1] 2023 წლის 8 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის საფუძველზე.

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 12 სექტემბრის N15-14/9184 წერილი.

[3] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2023 წლის 21 სექტემბრის N262195/01 პასუხი.

[4] N2 პენიტენციური დაწესებულების [redacted] 2023 წლის 21 აგვისტოს 14:00 საათიდან 18:00 საათამდე პერიოდის ვიდეოჩანაწერები.

[5] ვინაიდან ვიდეოჩანაწერი დაათვალიერა სახალხო დამცველის აპარატის ცენტრალურ ოფისში/თბილისში დასაქმებულმა თანამშრომელმა და არა ქუთაისის ოფისის წარმომადგენელმა, რომელიც სახეზე იცნობს [redacted] ამის გამო არ ხდება პატიმრის იდენტიფიცირება.

[6] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 19 მარტის N15-14/2733 წერილი.

[7] [redacted] მიერ მოწოდებული ინფორმაციით, C-115 საკანში 2023 წლის 21 აგვისტოს მასთან ერთად განთავსებული იყვნენ [redacted]

[8] N2 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 25 მარტის N86457/01 პასუხი.

[9] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ.15.

[10]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის № 2/3/406,408 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პუნქ. 15.

[11] ციხის ევროპული წესები, წესი 24.1.

[12] წესი 24.5.

[13] წესი 70.1.

[14] წესი 70.3.

[15] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, §51 (CPT/Inf/E (99) 1 (REV. 1);

[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: მაკკალუმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 9511/81, 30 აგვისტო 1990 წ., პარ. 10, 31; უილიამ ფოლკნერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 37471/97, 4 ივნისი 2002 წ., პარ. 11-14.

[17] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შაჰანოვი და პალფრიმანი ბულგარეთის წინააღმდეგ, nos. 35365/12 და 69125/12, 21 ივლისი 2016 წ., პარ. 64.

[18] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 16, ნაწ. 1 (პენიტენციური კოდექსი, მუხ. 115, ნაწ. 1).

[19] იქვე, ნაწ. 4 (პენიტენციური კოდექსი, იქვე, ნაწ. 6).

[20] იქვე, ნაწ. 6 (პენიტენციური

[21]„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №2 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს № 119 ბრძანება, მუხ. 40, პუნქტ. 9 და 10.

[22] იქვე, მუხ. 40, პუნქტ. 14.

[23] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023, გვ. 138.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 180-185.

პატივისცემით,

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი